პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილება
ქ. თბილისი

MES 7 20 00398402

21/05/2020

სსიპ კოლეჯი „მერმისისთვის“ „ვებტექნოლოგიების“ საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლებამოსილების შესახებ, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები

დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების განაცხადებში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 62-ე მუხლის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1.სსიპ კოლეჯ „მერმისს“ (ს/კ: 209467646) მიენიჭოს უფლება განახორციელოს დანართით განსაზღვრული საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ვებტექნოლოგიები“, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები (**დანართი).**

2.გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2020 წლის 6 მაისი.

3. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2020 წლის 21 მაისის № 397227 ოქმის მეოთხე ნაწილი ცნობილ იქნეს ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.

4. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი,

მ. ალექსიძის ქ. №1 ან ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი №6.

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ყუფუნია ნანა

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ჩაგელიშვილი მარიამ

დანართი

პროგრამისსახელწოდება	ვებტექნოლოგიები
პროფესიულიგანათლებისდონე	მეოთხე
მისანიჭებელიკვალიფიკაცია	საშუალოპროფესიულიკვალიფიკაციავებტექნოლოგიებში
სპეციალიზაციის/სწავლისდეტალურისფეროსკოდი	0612
პროგრამისგანხორციელებისენა	ქართული
პროგრამისგანხორციელებისადგილი	ქ. თბილისი, დ. გურამიშვილისჩიხი №9ა
პროგრამისგანხორციელებისფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
პროგრამაზეპროფესიულსტუდენტთაზღვრულირაოდენობა	40
სტუდენტთაზღვრულირაოდენობიდან, პროფესიულსტუდენტთაზღვრულირაოდენობაიმსასწავლოგეგმაზე, რომელიცმოიცავსინტეგრირებულზოგადმოდულებს	40
კრედიტებისრაოდენობაინტეგრირებულისასწავლოგეგმისშემთხვევაშიქართულენოვანისტუდენტებისთვის	114
კრედიტებისრაოდენობაარაინტეგრირებულისასწავლოგეგმისშემთხვევაშიქართულენოვანისტუდენტებისთვის	63
კრედიტებისრაოდენობაინტეგრირებულისასწავლოგეგმისშემთხვევაშიარაქართულენოვანისტუდენტებისთვის	144
კრედიტებისრაოდენობაარაინტეგრირებულისასწავლოგეგმისშემთხვევაშიარაქართულენოვანისტუდენტებისთვის	93